გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891



## „ივერია“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაზვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


## ახალი ამბავი

—

*** გუშინ-წინ, 11 სექტემბერს „წერა-კითხვის საზოგადოების“ მმართველობას კრება ჰქონდა თავის მდივანის ასარჩევად ბ-ნ მ. ჯანაშვილის მაგიერ. მსურველნი მდივნობისა ბევრნი იყვნენ. მათ შორის არჩეულ იქმნა მდივნად ბ-ნი დ. კარიჭაშვილი.

*** ჩვენს ქართულს დრამატიულს დასს თავისი პირველი წარმოდგენა ექმნება კვირას, 15 სექტემბერს. წარმოსადგენად დანიშნულია ა. ახნაზაროვის მიერ ნათარგმნი დრამა თავ. სუმბათაშვილისა: „ბორკილი“ და „დათვი“, ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი, ბ-ნ გრ. ვოლსკის მიერ გადმოკეთებული.

*** 5-სა და 10-ს ამ თთვეს კიდევ იყო სახელოსნო სასწავლებელში ეგზამენი იმ ყმაწვილებისა, რომელთაც ამ დრომდე არ შეეძლოთ წარმოედგინათ საჭირო საბუთის ქაღალდები. კიდევ მიიღეს ამ სასწავლებელში 15 ყმაწვილი.

*** ყვავილით ავადმყოფობასთან საბრძოლველად ქალაქის გამგეობამ თავისის მხრით შემდეგის საშუალების ხმარება სცნა საჭიროდ: 1) ქალაქის სამკურნალოებში მუქთად ავუცრათ დიდებსაცა და პატარებსაც ყვავილიო; 2) სახელოსნო სასწავლებლისა და ქალაქის ყველა პირველ-დაწყებით სასწავლებლის მოსწავლეთ ყვავილი ავუცრათ და 3) ვთხოვოთ ტფილისის გუბერნატორს, რომ ქალაქის ყველა სასწავლებელშიაც ასე მოიქცნენო.

*** კვირას, 15 სექტემბერს, გაიმართება სამების ეკკლესიის სამრევლო სკოლა, რომელშიაც მოსწავლეებად მიიღებენ როგორც ვაჟებს, ისე ქალებს.

*** ამ თთვის 10-ს ტფილისის სასამართლო პალატამ გაარჩია საქმე ვიქტორა მერაბის ძის მგელაძისა და კნეინა ლიდია გიგოს ასულის მაჩაბლისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ ამ უკანასკნელის ქმრის, თავ. გიორგი მაჩაბლის მოკვლა.

საქმის გარემოება, მოკლედ რომ ვსთქვათ, ასე ყოფილა. წარსულის წლის 10 მარტს, ღამით, სოფ. ჩოხატაურში თავ. გიორგი მაჩაბლის სახლს ავაზაკების ბრბო დასცემია. ერთი ნაწილი ამ ბრბოსი გარედ დარჩენილა, მეორე-კი სახლში შესულა. სახლში, შინაურებს გარდა, სხვებიც ყოფილან. ერთს ავაზაკს ყაჩაღის დარჩიას სახელი დაურქმევია და სახლის პატრონისათვის ფული და ძვირფასი ნივთეულობა უთხოვნია. თავ. მაჩაბელს დაუყოვნებლივ მიუცია, რამდენიც ჰქონია, ფული. ავაზაკს გაულაგებია ძვირფასი ნივთეულობა და მერე თავ. მაჩაბლისათვის უთქვამს, მდ. სუფსამდე გამაცილეო, მაგრამ ამას უარი განუცხადებია. ამ დროს მეორე ოთახიდამ თოფი გამოვარდნილა და თავ. მაჩაბელი მუცელში დაჰრილა. ავაზაკები გაქცეულან და, როცა პოლიცია მოსულა და დაჭრილისათვის გამოუკითხავს, თავ. მაჩაბელს უთქვამს, რომ მე ვიქტორა მგელაძემ მომკლა, რომელიც კარგად ვიცანი იმ ღამესაო. თავ. მაჩაბელი იმ დღესვე გარდაცვლილა. თავ. მაჩაბლის ჩვენებისა გამო და იმიტომ, რომ ვიქტორა მგელაძეს, როგორც ამბობენ გარდაცვალებულ მაჩაბლის მეუღლესთან დაახლოვებული ყოფილა, ის დასკვნა გამოუყვანიათ, რომ ამ ორთ უნდოდათ თავ. მაჩაბლის სიკვდილიო, და ამის გამო ორივენი სამართალში იქმნენ მიცემულნი.

ქუთაისის ოლქის სასამართლომ ამ წლის 15 მარტს ვიქტორა მგელაძე დამნაშავედ იცნო ამ საქმეში და 15 წლით კატორგაში გაგზავნა მიუსაჯა, ხოლო ლიდა მაჩაბლისა გაამართლა, იმიტომ რომ იმისი გასამტყუნებელი საბუთი არ აღმოჩნდა ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის ამხანაგმა და მგელაძემაც არ იჯაბულეს სასამართლოს გადაწყვეტილებ.

მგელაძის ვექილი იყო ბ-ნი ოპოჩინი. პალატის ბრალმდებელის ამხანაგმა ბ-ნმა ხლადოვსკიმ უარი განაცხადა ბრალდებულთა გამტყუნებისა რადგან არა მაქვს საკმაო საბუთები იმათს საწინააღმდეგოდაო. პალატამ მგელაძეცა და კნეინა მაჩაბლისაც გაამართლა.

*** ჩვენის დაბა-სოფლების ცხოვრების შესახებ დღესაც უნდა აღვნიშნოთ ერთი ფრიად სასიამოვნო და სანუგეშო ამბავი. ამ სამის წლის წინად სოფ. საგარეჯოში იქაურმა ნასწავლმა ყმაწვილებმა სახალხო წიგნთ-საცავი დააარსეს. ამ წიგნთ-საცავში ეხლა სამასამდე ტომი წიგნი ირიცხება. ამათში ზოგი კერძო კაცთ შეუწირავთ, ზოგი ამ საქმის მოთავეთა მეცადინეობით გამართულის წარმოდგენებიდამ და საღამოებიდამ შემოსულის ფულით შეუძენიათ.

ეს წარმოდგენები მუდამ წელს, იმართება სოფ. საგარეჯოში. წელს მარიამობისთვის 27-ს, გამართული იყო სალიტერატურო საღამო იქაურის სკოლის ახალს სადგომში. ასეთის საღამოს გამართვა პირველი იყო ამ სოფელში და სანუგეშო ის არის, რომ დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. საღამოს მოთავემ გლეხობა უფულოდ მიიპატიჟა და ისენიც ბლომად დაესწრნენ. ყოველის მხრით ეტყობოდათ, რომ ამ საღამომ მეტად კარგად იმოქმედა მაყურებლებზედ.

ვგონებთ, ყველასათვის ცხადია, აქაურს საზოგადოებას კვირაობით რომ სახალხო წიგნებს უკითხავდნენ, ბევრი დამსწრე ეყოლება და ამას დიდი მნიშვნელობა ექმნება ხალხის გონებრივს განვითარებაზე. ადგილობრივს მასწავლებლებს არ უნდა გაუძნელდეთ კვირაობით სახალხო წიგნების კითხვაა რომ ამ გზით ხალხში საჭირო ცოდნა-განვითარება განავრცელონ. ვისურვებთ, რომ საგარეჯოელებს სხვა სოფლელებმაც წაჰბაძონ.

*** ბ-ნი ცისკარაშვილი, რომელიც ამ ჟამად დუშეთის მაზრის უფროსის თანაშემწეა და წინად-კი მიწის-მზომელი ყოფილა, დიდი ხანია თურმე იმ ფიქრსა და ზრუნვაშია, რომ აღადგინოს როგორმე ძველებური, ესრედწოდებული თამარის არხი. ეს არხი ძველად მოდიოდა ფშავეთის წყლის შარახეულიდამ, საგურამოზე გადმოდიოდა, ზედაძნის მთებში და მერე ავჭალის თავს გადმოსული, მოდიოდა მახათის მთებისაკენ. ამ უზარმაზარის არხის ნაშთი დღესაც ცხადად სჩანს ბევრგან. და აი სწორედ ამ არხის აღდგენა მოუსურვებია ზემოხსენებულს ცისკარაშვილს. ამ აზრით შეუდგენია ყოველ გვარი პლანები, ნახაზი ნახატები, ხარჯთ-აღრიცხვა და ყოველივე საჭირო გარემოება მოუყვანია სავარაუდო ცნობაში. როგორც ამბობენ, ბ-ნს ცისკარაშვილს მიუმართავს კიდეც ტფილისის ქალაქის გამგეობისათვის, რომელიც ასეთს დიდს საგონებელშია დღეს ავჭალის წყლის ნაკლებულობის გამო, შეუთვლია მისთვის ყოველივე ამბავი არხისა და უთხოვნია, თუ თქვენი ნებაც იქნება, ამა-და-ამ მცირე ფასად მე ვიტვირთებ ძველის, თამარ-მეფის არხის აღდგენასაო. თუ ეს ამბავი მართალი გამოდგა და აზრი ბ-ნის ცისკარაშვილისა აღსრულდა, ქალაქს დიდი ბედი მოუვა. გარდა სხვა ათასის სარგებლობისა, მთელი მისი ხრიოკი მიდამონი ყარაიაზამდე მოიფინება ტყითა და ბაღებით, ამწვან-აბიბინდება, გაცოცხლდება, განაყოფიერდება და მოიფინება საუცხოვო სოფლებითა და აგარაკებით.

*** სოფ. ამაღლება (ოზურგ. მაზრა): ჩვენი სოფელი დღემდე ძალიან შევიწროებული იყო უგზოობით. ეკკლესიაში ასავალი გზებიც არა ჰქონდა რიგიანი. აგრეთვე რიგიანი გზა არა ჰქონდა ამაღლებიდგან რკინის გზამდე

# ფელეტონი

—

### ხალხური ლექსები

(გაგონილი და ჩაწერილი ს. კარალეთში ვასო ბიბილაშვილის-მიერ)

გადმოდეგით, ერევნელნო.
გინდა ერთი, გინდა ორი;
თუ არ იცით, მე გასწავლით,
როგორ უნდა გმირთან ომი!..

—

თრიალეთს ყარაულებსა
ლეკები დახვედრიათო;
ზოგსა მოუკლამ ათ-ათი,
მეტი არ შეხვედრიათო!...

—

გავბრიყვდი და ჩავეწერე
პირველ მელიციის ჯარსა;
მე ვთქვი, კახეთს შევისწავლი,
დავივლიდი მთადა ბარსა.

—

ამილახვრიანთ მამასწრეს,
მინდორში მამკლეს ცემითა;
თვალ-შავი ცხვარი წამართვეს,
თვალნი ამიმსეს ცრემლითა!

—

ქისტას ცხვირ დააცემინა,
ღმერთმანი, რასმე ვინანი,
შევხედე, ირაკლი არი,
უშიშრად მოდის მცინარი.[1]

—

აგრე შეშინდა ბელადი,
ველარ ჩაიცვა ჩუსტური;
აიღო თავ შემოიკრა,
თავში ქვა—დიდი მუშტური!...[2]

[1] ერთხელ მითხრა ამ ლექსის მთქმელმა: ჰადის-ჯვარის ციხეს შემორტყმოდა დიდი ლეკის თარეში; კაი ხანი ეცადნენ, მაგრამ ციხე ვერა და ვერ აიღეს; ამ დროს ირაკლი უახლოვდებოდა მისაშველებლად იმ ციხეს და იმის დანახვაზე სთქვა ბელადმა ეს ლექსი...

ვასო ბიბილ.

[2] გაიგეს თუ არა ლეკებმა ირაკლის მოახლოვება, ეცადნენ, როგორმე არ შესულიყო ის ციხეში. მაგრამ თურმე ერეკლემ შემოლასტა სამი საძნე ურემი, რომელშიაც ჩასხა შეიარაღებული ხალხი და მიადგა უცებ მტერს და ამოწყვიტა.

თამაზ ხანი გადმობრძანდა,
თან გადმოჰყვა დიდი ჯარი;
უწინ აიღო ბაღდადი,
განჯას შემოარტყა ჯარი.
განჯელებ კარი დაკეტეს,
არსად შევა ნიავ-ქარი.
თითო გამამცხვარი პური
თორმეტ უზანთული არი,
ისიც რომ ველარ იშოვნეს,
ქვაბით ხარშეს ბრინჯი-ფლავი.

—

თორმეტი აფრასიონნი
ქალმა მე მოვკალ ბრძენმაო,
ვერც თუ მოვკალი მე ისა,
მინდორმა მოკლა გძელმაო.

—

მაშინ თქვა მუხრან ბატონმა:
—ვაი რა ჰადი-ჯვარია,
აიღებენ ხვალ ჰადი-ჯვარ,
ზეგ მუხრან ჩავა ჯარია!..

—

ამობენ გადმოქცევასა
მაღლა დუშეთის მთისასა;
შიგ ჩატანებას ამობენ
თორმეტი ხევსურისასა.

—

ვინ მოჰკლა კოხტა ბელადი,
ნეტავი იმის დედასა!...
აჰყარა თოფ-იარაღი
ეწია გულის-ნებასა!...

—

დაქვრივდა ქვემო ავჭალა,
კუკიას შევრთოთ ცოლათა;
ცხეთა მაყრათ გავაყოლოთ,
რუისი-ხეჩასპარათა.

—

ოსო, გუდუნით მაძღარო,
და იმერელო—ღომითა,
თუშ ნაბდი ძველა აცვია,
ვერვინ გააძლობს ომითა.

—

დასხდებიან ჩვენი მტრები,
ჩვენსას რასმეს განაგებენ;
ხელ უკუღმა ხმალ გალესენ,
უსისხლოთ არ ჩააგებენ...

—

ნეტავი შვილო, ბაგრატო,
გველი მეშობა, შენ—არა
ეკალთა შემოჰხვევიყავ,
ჩერქეზის ქალსა შენ არა,
მუხისა ქერქი გეცვითა
დიბა-ატლასი შენ არა!...

—

გივი, ტუსი და გოდერძი
ერევნელ თავადებია,
მოვლენ, დაგვწვენ და დაგვდაგვენ,
ხანჯლებით დაგვეტევიან!..

—

ამტელ-ამტელი ხანია
მე ეს საქმე არ მამსვლია,
ათი-ათასი თათარი
ომში არსაით წამსკლია!..
ახლა მამასწრეს, დამკოდეს,
კალთა სისხლებით მამსვრია!...

—

მანამდინ მონადირე ხარ,
გიხდება ბოლო ხმლისაო,
ყველას სიყვარულიცა ხარ
ბატონისა და ყმისაო,

—

მოვიდა მარიამობა,
ქალებო, თქვენი დღეობა,
ბევრი ქორწილი შევჭამე,
ლამაზ ქალების ძეობა!...

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისავლელად. თუმცა კაი ხანია გრძნობდა სოფელი გზის შეკეთების საჭიროებას, მაგრამ დღემდე არ მოუწადინებია რიგიანად. დღესაც, ვინ იცის, მოჰკიდებდა ხელს ამ საქმეს თუ არა, რომ საკმაო ზარალი არ მოსვლოდა უგზოობის გამო.

სანამ გზის მუშაობას შეუდგებოდნენ, მაზრის უფროსს დადიშკელიანს მიჰმართეს და სთხოვეს, ნება მოგვეცი ჯერ ჩვენს სოფელში გავაკეთოთ გზები და მერე სხვა ადგილებშიო.

ნება მაზრის უფროსმა დართო საზოგადოებას, დ განათავისუფლა დროებით სხვაგან გზების კეთებისაგან. ეხლა საზოგადოებაც უკვე შეუდგა გზების კეთებას და იმედია, რომ ერთ წლამდე ამაღლებაში გზები რიგიანად შეკეთდება.

*** ინჟენერები იმას გაიძახოდნენ, ბაქოს ნავთის წყაროები შრება და მალე მოვა ისეთი დრო, რომ აქ ნავთი ძვირი სოშოვნელი შეიქმნესო.

საქმით-კი სრულიად წინაღმდეგსა ვხედავთ. დიდი ხანი არ არის მას აქედ, რაც ბ-ნ ტაგიევის ადგილებში მძლავრი შადრევანი ამოვიდა ნავთისა. ეხლა გაზ. „კასპ"-ში ვკითხულობთ, რომ ამ თთვის 8-ს, ბ-ნ ცატუროვის ადგილშიც ვეებერთელა ნავთის შადრევანს ამოუხეთქია. ისეთის ძალითა სცემს თურმე ნავთი, რომ მიწიდგან ამოსული ქვიშა ბ-ნ მირზოევის სახლებს ხვდემაო.

*** „ნოვ. ობოზრ." დეპეშით ატყობინებენ ქუთაისიდამ: 11 ენკენისთთვეს, დილის 9 საათზედ, ფოსტის კანტორის ახლო, ორი ავაზაკი თავს დაეცა ხაზინის სამს მოხელეს, რომელნიც ფოსტიდამ მოდიოდნენ და სამოც-და-თხუთმეტი ათასი მანეთი თან მოჰქონდათ. რომელსაც ფული ჰქონდა, ის თავშია დაჭრილი. ავაზაკებმა ვერა გაარიგესრა, რადგან დიდი წინააღმდეგობა გამოიჩინეს ხაზინის მოხელეებმა და ხელ-ცალიერნი გაიქცნენ.

*** 10 სექტემბერს, ფეთხაინის ქუჩაზე ტფილისის მცხოვრებელმა ალექსანდრე მირზაჯანოვმა საწამლავი დალია. მირზაჯანოვი სამკურნალოში წაიყვანეს საექიმოდ.

## დაბა დ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. აკეთი (გურია), 6 სექტემბერი. გურიის ისტორიაში სოფ. აკეთს პირველი ადგილი უნდა ეჭიროს. ამ სოფელს წარსულშიაც და ახლაც საკმაო ყურადღება აქვს მიპყრობილი, თუმცა წარსულში სულ სხვა მხრით იყო შესანიშნავი, ვიდრე ახლა, ამ ჩვენს დროში.

სოფ. აკეთი წარსულში იყო გურიის წარჩინებულთა სამშობლო და საცხოვრებელი ადგილი. აქ სცხოვრობდნენ და სცხოვრობენ ახლაც თთ. თავდგირიძენი, რომელთაც გურიელების მთავრობის დროს პირველი ადგილი სჭერიათ და დიდად მიღებულნი და პატივცემულნი ყოფილან გურიის მთავართაგან. რასაკვირველია, ასეთის ხალხის აქ ცხოვრებას დიდი მნიშვნელობა და ზედმოქმედება ექნებოდა აქაურს მცხოვრებლებზედ და მათის ცხოვრების მიმდინარეობაზედ. ყოველი გონიერი კაცი სცდილობს საზოგადოდ მამულის სარგებლობასა და კერძოდ თავის სამშობლო სოფლისას. სცდილობს წინ წასწიოს და დააწინაუროს, გაანათლოს, დაამშვენოს, დაიცვას ყოველისავე ნაკლულევანებისაგან. ასე მოქცეულან თთ. თავდგირიძენიც თავიანთის შეძლებისა და გვარად. მათ გამოუჩენიათ თავი ან მთავართა წინაშე და სამშობლოს სოფლის წარსამატებლადაც უმეცადნიათ. გურიელებისაგან მდ. სუფსის პირზედ აგებულია ციხე, რომელიც ყოფილა მტრის დაცემის დროს ხალხის თავშესაფარი და დამცველი; შიგ სოფელში თამარ დედოფლის მიერ აგებულია მაცხოვრის ეკკლესია, რომელიც აქაურის თავადების შემწეობით თანდათან იზრდებოდა და მატულობდა სიმდიდრით, ასე რომ ამ ეკკლესიას თავის სიმშვენიერით, მოხდენილობით და სიმდიდრით, პირველი ადგილი თუ არა, მეორე მაინც ეჭირა წინად გურიაში. ამ სოფლის სამხრეთით არის დაბა ნაგომარი სადაც იმართება 15 ივლისს და თავდება 29 ამ თთვისას ვაჭრობა. აქ ამ დროს დიდძალი ხალხი იცის. წარსულში თურმე უფრო შესანიშნავი იყო ეს ვაჭრობა. არა თუ მარტო ვაჭრები მოდიოდნენ აქ საქართველოს ყოველ კუთხიდგან, არამედ თავად-აზნაურობა და წარჩინებულნიც ეწვეოდნენ თურმე აქაურობას და ჰმართავდნენ თამაშობა ჯირითს.

მაგრამ ყოველ ამის მიუხედავად, იმიტომ, რომ სოფელი აკეთი უფრო შესანიშნავი იყო, თუ იმიტომ, რომ ახლოს იყო მაშინდელის სათათრეთის საზღვარზე, სოფ. აკეთს ხშირად ეტანებოდა გარეშე მტერი. მრავალ აოხრებათა შორის ყველაზედ უფრო ცხადად დარჩენილა აქაურს მკვიდრთა ხსოვნაში „აბდულ-ალას" შემოსევა და მისგან სოფლის აკლება. ეს ამბავი მიამბო აქაურმა მცხოვრებმა ს. ღოტმა, რომელიც, როგორც თვითონ ამბობს, 122 წლისა უნდა იყოს. მოხუცს ცხადად ახსოვს სოფიო დედოფლის მთავრობა გურიაში, მისი სტამბოლს გადახვეწა და სხვ. ეს ამბავი მით უფრო დასაჯერებელი და სარწმუნოა, რომ ეგევე მიამბო ერთმა მოხუცმა, ქართველმა მაჰმადიანმაც, სახელად ყურშაუმმა, რომელსაც თვითონ ახსოვს ეს ამბავი. ეს მოხუციც დიდად ხნიერია და სცხოვრობს სოფ. აჭყვში—ქობულეთის მხარეს. მოხუცს ახსოვს ქობულეთისა და აჭარას დაპყრობა თათრების მიერ და მათი გამაჰმადიანება. აი იმის ნაამბობი: მესხეთის მფლობელს, აბდულ-ალას, შეუყრია თავის მხედრობა, გადმოუტარებია აჭარის მთებზედ და შემოპარულა ს. ასკანაში, რომელიც მდებარეობს აკეთსა და აჭარას მთებს შუა. აქ ვერავინ უნახავს და ამიტომ გამოუშურებია ს. აკეთისაკენ. ამ დროს აქ თავდგირიძეთაგანი არავინ არ ყოფილა შინ, სოფლელებს-კი, უეცარის შემოსევისაგან თავზარ დაცემულებს, აუღიათ თავიანთი ბარგი-ბარხანა და აქვე მდებარე ტყეში შესულან, რათა თავისი ცოლშვილი და ბარგი გაეხიზნათ და მერმე უშიშრად შებმოდნენ თათრებს. უკანასკნელნი მოსდებიან სოფელს და მთლად აუოხრებიათ; ვინც უნახავთ, ზოგნი მოუკლავთ და ზოგნი ტყვედ წაუყვანიათ. მერმე შესულან ზემოხსენებულს მაცხოვრის ეკკლესიაში, მაგრამ საეკკლესიო ნივთეულობა არა დახვედრიათ-რა, მხოლოდ აუტეხნიათ შიგ თოფის სროლა და მთლად შეურყევიათ კედლები და გუმბათი. ამ დროს მოვარდნილა საიდგანღაც სარდალი მამუკა (?) თავდგმირიძე, მოუგროვებია გაფანტული სოფლელები, მოუწოდებია სხვა ახლო სოფლელებისათვისაც და შეჰბმია თათრებს. ბრძოლის დროს თათრები დამარცხებულან და უკადრებიათ უკან გაქცევა, მაგრამ სოფლელები გამოსდგომიან უკან, დასწევიან „წყალწითელას" პირზე (ასკანას სამხრეთით ჩაურბის) და შემორტყმიან ყოველისავე მხრით. თავზარდაცემულს აბდულ-ალას მიუტოვებია ჯარი დ თავის მემკვიდრე სელიმი, რომელიც თან ჰხლებია, გაუტაცნია შინისკენ, რომ ტყვეობისათვის გადაერჩინა; შემდეგ დაბრუნებულა ჯართან და თითონაც ჩარეულა ბრძოლაში. ერთი ვიღაც ჯარის უფროსი, გვარად ცხოიძე, მოსვლისათანავე კიდევაც გაუკვეთია შუაზე ხმლით, მაგრამ მერე თვითონ გამხდარა მსხვერპლი იესე პატიეშვილის თოფისა. დანარჩენნი თათართ ჯართაგანი სოფლელებს ზოგი დაუხოციათ და ზოგი ტყვედ წამოუყვანიათ.

ეს ამბავი გალექსილა ხალხის მიერ და ხალხურ სიმღერად გადაქცეულა. მოხუცმა ეს ლექსი სრულად ვერ მოიგონა, მხოლოდ რამდენიმე ტაეპი მიამბო. აი ეს ლექსიც:

„ღმერთმა უკელას გაგითენოს
კალანდა და ბასილობა,
თათრებს ღმერთი გასწყვეროსთ,
წასდენიათ გაზდილობა.
კალანდა [1]) დილას დაგვეცნენ,
არ გვაცალეს სადილობა.
მის დღეში ნაქები არი
თავდგირიძეთ სარდალი.
მისი ბიჭები ლომსა ჰგავს,
გზაში დაუსხდნენ ჩამჯდარნი.
— ნუ გეშინიათ, ბიჭებო,
მესხნი არიან წამხდარნი.
აწ გიორ ხანი უძახის:
ვერ წამისვალ, სულიმ ალა!
აბდულ-ალა გადმოაგდეს,
მისი ჯარი გაილასა.
მესხსა თვალები დაუდგა,
გზაც ველარ დაინახა,
თოფი აღარ გაუვარდათ,
ყველამ ტყეში შეინახა.
. . . . .
— ნუღარ დაგვხოცთ, აკეთლებო,
დაგრჩომიართ მესხი გლახა,
აწ უნდა ღმერთი ილოცოთ,
გამარჯობა თქვენი დარჩა.
სელიმ-ალა გაქცეული,
მივიდოდა ვით ამქარი,
დედა, მისი მიეგება,
„შვილო, მითხარი მართალი!"
— „დედა აწი რაღა გითხრა,
მე საწყალი მამა-მკვდარი,
თავსა ძვილსა ვუშველე,
იქ დავტოვე მთელი ჯარი.
იძახიან „კაი-ესა"
კაი ცოლი, კაი შვილი,
კაი როგორ წაგვეწყრა,
რაცა ვქენით გურიასა,
მათი ხორცი დაეჭამოს
ფვარესსა და მურიასა.
დღეის აქით დავეთხოვით,
გაუგზავნით ჯონიასა!... [2])

დ. აკეთელი

[1]) პირველი იანვარია.

[2]) ჯონია—თათრული სახელია ჩოხისა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

როგორც გუშინ ჩვენს ნარკვევში მოხსენებულ ბ-ნ ნ. ნიკოლაძეს წერილიდგან დაინახავდით, ქალაქის საბჭოს საქმე საშინლად გაჭირვებულს მდგომარეობაში იყო არჩევანამდე, „სალიანის კანტორა ჰბრძანებლობდა და ისეთი დიდი გავლენა ჰქონდა თვით-მართველობის საქმეთა ასე თუ ისე წარმართვაზე, რომ მთელის ქალაქის წარმომადგენელი, ბ-ნი ა. ს. მატინოვიც-კი იმას ემორჩილებოდა. ასეთს მდგომარეობაში იყო საქმე და ცვლილება არც არავითარიმე იყო მოსალოდნელი. ერთად-ერთი იმედი არჩევნები-ღა იყო. აი რასა სწერს არჩივანების შესახებ ბ-ნი ნ. ნიკოლაძე:

დადგა პირველ ხარისხის არჩევანიც. ამ არჩევანმა ძალიან კარგად ჩაიარა გამგეობისათვის, ესე იგი საქმე უწინდელებრ დარჩა. გამგეობის მეგობრებმა კ. მ. ალიხანოვის მეთაურობით „სასახლის ნომრებში" საკანდიდატო სია შეადგინეს და ამ სიაში, რომ სულ ერთიანად არა ჰქონოდა მა-

---

პატარა ბიჭი ვიყავი,
თოფი მეკიდა ხმიანი,
ტყეებში დავიარები,
როგორც ირემი რქიანი
—
ქალაქ სიონი გწყალობდეს,
ავჭალას—დედა ძენია,
გორი-ჯვარი შეგეწიოს,
ი ტკვარ რო გადმოსცქერია!.

## სამშობლო

ჟულ სიმონისა

(ფრანგულით)

(დასასრული. იხ. „ივერია" № 194)

ყველამ იცის, თუ რა თავ-განწირვით იბრძოდნენ ალზასელები 1870—1871 წლებში. მთელს საფრანგეთში აგეთი მეომარი და ასე სამშობლოსათვის თავდადებული არც ერთი პროვინცია არა ყოფილა. ყველანი და თვით ბავშვებიც-კი საომრად გავიდნენ და მედგრადა და თავ-განწირვით იბრძოდნენ. დიდად არ გამკვირვებია, როცა მითხრეს, ფრიდრიხიც ჯარში შევიდა, აფიცრობაც მიიღო და შესვლის პირველ დღიდგანვე დიდის პატივით ეპყრობოდნენო. ჩვენი პრეფექტი ვალენტინი მწერდა, ფრიდრიხმა რამდენჯერმე თავი იჩინა მტერთან ბრძოლით და დიდი პატივი მოიპოვა თავისის გონიერებითა და უშიშარის მხნეობითო.

როცა მტრის ჯარმა პარიჟს ალყა შემოარტყა, ჩვენ შიგა ვცხოვრობდით, როგორც განმარტოვებულს კუნძულზე, მოშორებული ქვეყანას,—მარტო იმას ძლივს ვიგებდით, თუ სადმე რამ დიდი ამბავი მოხდებოდა. საინტერესო ამბების ჩვენს ყურამდე მოღწევა ძლიერ ძნელი შეიქნა. ალყის შემორტყმის შემდეგ ქალაქი მტერს გადაეცა და ამას კომუნა მოჰყვა; აი, რამდენი გულის გამაწყალებელი საქმე და ამბავი შეგვემთხვა. იმ დროს, როცა ამდენი საჭირ-ბოროტო საქმე გვქონდა და ქვეყნის ზრუნვაში ვიყავით გართული, ნათესავ-მეგობრები ვისღა აგონდებოდა!

მე ვერსალის სასახლეში, ჩემს კაბინეტში ვიყავ და ეპისკოპოსის დაიაჩიოს ადგილზე დანიშვნის ქაღალდს ვკითხულობდი. ამ წვრილმანების ჩამოთვლას იმიტომ გამოვუდეგი, რომ ჩემს ნაამბობს უფრო სიმართლის ფერი დაედოს. სასტუმრო ოთახიდგან ხმაურობა და თანაც კივილი შემომესმა. აშკარა იყო, რომ ჩემი მოსამსახურე, რომელიც ჩემს ბრძანებას თავისს დღეში არ გადავიდოდა, ვიღაც არა-მკითხე დაუპატიჟებელს სტუმრებს ეწინააღმდეგებოდა და შინ არ უშვებდა. ერთბაშად კარი გაიღო და ჩემმა მოსამსახურე ანდრიამ ჩემს მაგიდაზე პატარა ბარათი დასდო, რომელზედაც შემდეგი ეწერა: „ფრიდრიხის ქვრივი და მისი ერთად-ერთი შვილი".

აგეთი ძლიერი და გულ-გასაგმირავი მწუხარება თვით იმ მწუხარებით სავსე დროსაც-კი სხვა არაფერი მოსდებია ჩემს გულსა.

ქალს უფრო ჩემზე მეტი დამშვიდება ეტყობოდა, თვალები გაშრობოდა, ლოყები ჩასცვივნოდა, ხელები და ტუჩები ოდნავ უცახცახებდა, თითქოს ოცის წლით ადრე დაბერებულაო; განიერი პირისახე კონკებში ჰქონდა გამოხვეული, ეტყობოდა სიღარიბე ხელი ეკერნა, მაგრამ არც საწყლეს თავისი დალი დაემჩნია.

სჩანს ჩემი მეგობარი მომკვდარა; მომკვდარა იმისი უფროსი ვაჟიც.

ქალმა ჯიბიდამ ჯვარი ამოიღო. ეს ჯვარი ფრიდრიხისათვის სამკურნალოში მიეცათ. ჯერ კიდევ თავისს გონებაზე ყოფილა, რომ გენერალი შესულა და უთქვამს: „თქვენ გმირი ხართო!" იმასაც უცდია გენერლისათვის ხელი გაეწვდინა, მაგრამ ვერ შეუძლია: აღსასრული მოახლოვებია და ერთის საათის შემდეგ სულიც დაულევია.

— ეს ამბავი უფროსმა შვილმა წერილით შემატყობინაო, მიამბო ქვრივმა. ჩემი უფროსი ვაჟი პოლი 17 წლისა რომ გახდა, მითხრა: „დედი, ახლა ჩემი ჯერიაო, და მეც უარი ვერ ვუთხარ; ვიფიქრე ამაზე მამაც უარს არ ეტყოდა მეთქი, და ისიც წავიდა ჯარში.

შემდეგ ქალმა აკანკალებულის ხმით განაგრძო:

— ჩემი შვილი მტრის ტყვიას არ მოუკლავს, არა, სახადი შეეყარა და იმან გადიტანა.

იმ დღეებში სხვა საგანზე ლაპარაკი ვერ გავუბედე ქალსა. მარტო ამ ორს გარდაცვალებულზე გვქონდა ბაასი. მისს დაკონკილს ტანისამოსს თვალს ვერ ვაშორებდი. „ესენი მთხოვრობას ადგანან-მეთქი, ვამბობდი ჩემ თავად, მაგრამ რითი ვუშველოო?" ქალი არაქათ-მიხდილი იყო და ამიტომ ვუთხარი, ლაპარაკი მეორე დღისთვის გადავდოთ-მეთქი.

— ბევრი რამ უნდა გამოგკითხოთ, თქვენის მდგომარეობის შესახებ და თქვენის შვილის მომავალზედაც ერთად მოვილაპარაკებთ, მანამდე-კი ბინა ჩემს სახლში გექნებათ-მეთქი.

რა თქმა უნდა, რიგიანს მასპინძლობას ვერ გავუწევდი, რადგან მთელის სახლობისთვის ერთი ხელი ლოგინი-ღა გვქონდა. მე და ჩემი ორი ვაჟი ერთს ოთახში იატაკზე ვსწვებოდით და როგორც იყო სასტუმროში მათთვისაც ერთი ოთახი გამოჩნდა თავისუფალი.

მთელი ღამე იმის ფიქრში გავატარე, თუ რა ღონე უნდა მეღონა ამ ბედკრულთა საშველად. ვინც თავისს დღეში სამსახურში არა ყოფილა, ადვილად იფიქრებს, არც ერთს

ნური სხვ, სამი თუ ოთხი მოწინააღმდეგე დასის წევრიც აღნიშნეს, სახელდობრ: მ. ი. თამამშოვი, ა. ა. ივანენკო, ს. ა. გეისმან-გეისენგოფი და თ. გ. ს. მიქელაძე. მე რომ გამგეობის მეთაური ვყოფილიყავ, თვით ვეცდებოდი, 20 მოწინააღმდეგეს ამორჩევას, რომ მკვიდრნი არ მოდაღუდღოვენ კრებათა და საბჭოს თათბირის ერთფეროვანებით. მაგრამ ბ-ნმა მანტაშოვმა და იზმაილოვმა დიდის სიბრძნით გადასწყვიტეს, რომ „მტრები“ არ უნდა შევიწყალოთო. არჩევანების უკანასკნელს ხანს თითონაც ჩაერივნენ ბრძოლაში. თვით თავი სცდილობდა საქმის რიგიანად წარმართვას, პირადად თითონ დადგა ყუთები ბ-ნ იზმაილოვისა, სტატკოვსკისა, აღელხანოვისა და სხვ., რომ „მოწინააღმდეგეთა“ ძალა შეესუსტებინა. ამ ბ-ნ მანტაშოვის მიერ წინ წამოყენებულს კანდიდატებს შორის ამორჩეულ იქმნა მარტო ბ-ნი იზმაილოვი. „მტერმა“-კი ოთხივემ თავი დააღწია განსაცდელს.

ამ ამბავმა საშინლად გაარისხა გამგეობის მომხრენი. წარმოიდგინეთ, რა წვრილმანი საქმე ხდება ხოლმე მიზეზი ნაპერწკალისა, რომელიც უშველებელს ცეცხლს აჩენს, მეტადრე როცა ასაფეთქებელი მასალა ბევრია თავ-მოყრილი. პირველ ხარისხის ხმოსანთა არჩევანს შემდეგ, გამგეობამ, შურისსამიებლად, პატივცემულის ა. ა. იოანნესიანის მოვალეობას მიჰმართა. ყველას მოგეხსენებათ ღირსება და ნაკლულევანება ამ ბედისაგან განებიერებულის კაცისა. იმის ღირსებათა აქ ჩამოთვლა საჭირო არ არის, ნაკლულევანებათაგან-კი მხოლოდ ერთს დავასახელებ, უმთავრესს: იმის ჩანგს მხოლოდ ერთად-ერთი სიმი აქვს და ეს სიმიც ეროვნული განკერძოებულებაა. რა საქმეც უნდა მიანდოთ, თავისი ფერი უნდა დასდოს უეჭველად, სულ ერთია, ცხენის რკინის გზა აქნება ეს საქმე, ბანკი, როსსიის ჩამოსვლა თუ ქ-ნ ლასსალის ბენეფისი. იმისთანა ქვეყნებში, როგორიც ჩვენია, სადაც ოცხის თევზებსავით ერთმანეთში არეულია ათობით სხვა-და-სხვა ეროვნება, ამ სიმის ჟღერას სხვათა სარწმუნოების სიმების შესაფერივე მოძრაობა მოსდევს. ასეა, თუ ისე, გამგეობის პირველ თხოვნისათანავე, ა. ა. იოანნესიანმა დიდხანს აღარ დააყოვნა, გააფარფარა თავისი საყვარელი „მწვანე დროშა წინასწარმეტყველისა“, რომელსაც არასოდეს იშორებს, და მტრებს მიუსია მეორე ხარისხის ამომრჩევლები, თავისი ერთგულნი და მორჩილნი.

აქ მტრებად, რასაკვირველია, ქართველები და ყარაბაღლები იგულისხმებიან. პირველთ ამიტომ ებრძოდა, რომ პირველ-ხარისხოვანმა ამომრჩევლებმა „მეტად ბევრი ქართველი ამოირჩიეს“ (სულ შვიდი კაცი), და მეორეებს-კი იმიტომ-რომ ტფილისის სოვდაგრებს (მეორე ხარისხის ამომრჩეველთა უმეტესი ნაწილი-კი სულ ვაჭრობა და სოვდაგრობაა) ყელზედ ადგათ ყარაბაღელების (ესე იგი შუშელ სომხების) მეტოქობა. ნუ დაივიწყებთ ამასთან იმასაც, რომ შარშან ყარაბაღელები საურთიერთო ნდომის საზოგადოებაში ბ-ნ იოანნესიანის გაშავ-კენჭებას სცდილობდნენ...

და აგერ, მეორე ხარისოვან ამომრჩეველთა შორის ბრძანება გაიცა: „არც ქართველის ჭაჭანება იყოს და არც ყარაბაღელისაო!“ მართლაც-და ყველა ქართველი და ყარაბაღელი კანდიდატი შეუბრალებლად გაამავენჭეს. ბ-ნმა იოანნესიანმა თავისი ჯავრი იყარა და გამგეობას-კი ის ეგონა, რომ მე გავიმარჯვეო. ამ გარემოებამ თავი ამაყად წამოაყენებინა, სულით განამხნევა, მით უმეტეს, რომ ერთის კვირის შემდეგ ძლიერს გამარჯვებას ელოდნენ მესამე ხარისხის არჩევანებზე, რომელიც აითდან-ბაბადან გამგეობის სრულს საკუთრებასა და ხელშეუხებელს სიმაგრეს შეადგენდა.

ამ უკანასკნელ არჩევანამდე სირცხვილეული იყლტოდა მოწინააღმდეგეთა დასმა: „სასახლის ნომრებმა“ გადასწყვიტეს, ბრძოლისათვის ტყუილად თავის ატკიება არა ღირს, ვინაიდგან გამგეობა მესამე ხარისხის ხმოსანთა არჩევანებში უძლეველიაო. რომ დაეფარა თავისი უკან დაწევა, მოწინააღმდეგეთა დასმა მე გამგზავნა შუამავლად, სთხოვე, რომ „საერთო სია“ შეგვადგინოთ ამოსარჩევთაო. უარ-მიყვეს: ა. ს. მანტაშოვმა გამომიცხადა, რომ მესამე ხარისხის არჩევანებში რა ბოლოკის თავია მოწინააღმდეგეთა დასი, აქ-კი ისეთს სიცხეს დაუყენებ, ისე გავპენტავ, რომ სულ ნაბუარი ასდიოდეთო და სხ. ერთის სიტყვით, სრული უარი განმიცხადა და ხელიც ისე გაიქნია, როგორც ჭკნატავენ ნაპოლეონს აუსტერლიცის ბრძოლის სურათზედ. აშკარა იყო, რომ გამგეობა დაბრმავებულიყო, თვალ-დახუჭული გამოდიოდა ბრძოლის მოედანზედ, თუმცა ისიც არ იცოდა, რად უნდა ებრძოლნა და ვისთან უნდა ებრძოლნა, და სრულიად დაჭმორჩილებოდა ბედისწერას, რომელსაც უფსკრულისკენ მიჰყავდა.

სამწუხაროდ, აქ ათავებს თავისს წერილს პატივცემული მწერალი და მესამე ხარისხოვან არჩევნების ისტორიას არ აბოლოვებს. დანარჩენი ბ-ნს ნ. ნიკოლაძეს შემდეგის ფელეტონისათვის გადაუდვია და ჩვენც იძულებულნი ვართ აქ შევწყვიტოთ ეს წერილი.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** რაკი ჟულ გრევი გარდაიცვალა, გაზეთებმა დაიწყეს ბეჭდვა იმის შესახებ სხვა-და-სხვა ამბებისა. გრევის გასართობი შახმატის თამაშობა, ბილიარდისა და ნადირობა ყოფილა. „გრევი მშვენიერად თამაშობდა ბილიარდსაო—ამბობს ჟულ სიმონი—და ერთხელ იმისმა ბილიარდის თამაშობამ წინალამ საქმე არ წამიხდინაო. ეს იმ დროს მოხდა, როდესაც მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტად ვიყავი. გრევი და გენერალი ჩიალდინი, დესპანი იტალიისა, იმ დღეს სადილად ჩემთან იყვნენ. სადილს უკან ხალხი უნდა მოსულიყო ჩემსას საქმისათვის. გრევიმ კარგად იცოდა ჩემი სახლი და ადგა თუ არა სუფრიდგან, სწორედ იმ ოთახისკენ გასწია, სადაც ბილიარდი იდგა. თან გენერალი ჩიალდინიც წაიყვანა და თამაშობა დაიწყო. ეს თამაშობა ჩემს დღეში არ დამავიწყდება. პატარა ხანს შემდეგ ჩემი შვილი შემოვიდა ჩემთან და მითხრა, გრევი თავისის ბილიარდის თამაშობით სწორედ სასწაულსა სჩადის და დესპანს-კი დიდის ნაწყენობის ნიშნები ეტყობაო. ჩემთვის იმ დროს ძლიერ საჭირო იყო, ჩიალდინი კარგს გუნებაზე მყოლოდა. ხვეწნა დავუწყე გრევის, ყასიდად ცუდად როგორმე მოუყვანე—შენი თამაშობა-მეთქი მაგრამ იმან ამაყად მიპასუხა, თქვენის ხათრით ყველაფერს ვიზამ და ვიკადრებ, ხოლო მობილიარდობის სახელს-კი ვერ გავიტეხავო“. შემდეგ ჟულ სიმონი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ გრევის არ უყვარდა გაზვიადებული მიგებებანი და ლხინ-მეჯლისებიო. „გრევის თავისს დღეში ვერ გააბედვინებდით დეპარტამენტებში მოგზაურობას: საშინლად ეჯავრებოდა და ამბობდა, ეს სრულიად უსაჭიროაო. მგონი ეს-კი შეცდომა მოსდიოდა: თუმცა საფრანგეთი რესპუბლიკისათვის თავ-გადადებულია, მაგრამ მაინც დიდრაჯობასა და ფუფუნებასაც ეტანება. საფრანგეთს მოსწონს, რომ კარნო მდიდრულადა და კარგად მოწყობილი სცხოვრობს და ბრწყინვალედ დამოგზაურობს დეპარტამენტებში. ამ შემთხვევაში კარნო ისე ხერხიანად იქცევა, რომ შთამომავლობით მეფის შვილებსაც-კი შეენატრებათ მისი ასეთი ქცევა. გრევი მოხუცი, სამოც-და-ათის წლის, ვექილი იყო, სძულდა გადახასიათება და უმთავრეს საქმედ თავის მოვალეობათა კეთილ-სინიდისერი აღსრულება მიაჩნდაო.

გაზეთს „Temps“-შიაც კარგი და საყურადღებო ამბავია დაბეჭდილი გრევის შესახებ. ამ წერილს ავტორი ძლიერ დაახლოვებული ყოფილა გრევისთან და ამიტომ შესძლებია, კარგად და დაკვირვებით გაეცნო და შეესწავლა იმისი ცხოვრება, აზრი სხვა-და-სხვა საგნის შესახებ და მიმართულება. აი რამდენიმე ადგილი ამ წერილისა. „ლიტერატურაშიაც და პოლიტიკაშიაცაო—ამბობს ავტორი წერილისა — გრევის ბევრი რამ გაგიჟებით უყვარდა და ბევრი-კი საშინლად ეზიზღებოდა და სძულდა. შარშან მონ-სუ-ვოდრეში ლაპარაკი ჩამოვარდა შესახებ ლამარტინისთვის ძეგლის დადგმისა და ჟულ სიმონისა და მინისტრ ბურჟუას მიერ მაკონში წარმოთქმულის სიტყვებისა. გრევის ძლიერ მოეწონა ბაასი და ქება დაუწყო ლამარტინს, მოიგონა მისი მამულისშვილიური მოღვაწეობა 1848 წელს და მანიფესტის შესახებ მის მიერ წარმოთქმული შესანიშნავი სიტყვები. „ღირსეულს ჯილდოს ვერც-კი მოვახერხებთ, რომ ლამარტინი დავაჯილდოვოთო-დაუმატა ბოლოს გრევიმ: იგი დიდებული მამულისშვილი იყო. კაცს უნდა ენახა და გაეგონა, რასაც ლამარტინი აკეთებდა და ამბობდა. იგი ბევრი იტანჯა სამშობლოს გულისთვის და საფრანგეთი მოვალეა, ღირსეული მიუწყოს. მოხარული ვარ, რომ ამ საქმეს შეუდგებიანო“. „იშვიათია, რომ კაცს ეგრე უყვარდეს ლიტერატურა, როგორც გრევის უყვარდა. ნიადაგ ძველის კლასიკურის მწერლებისა და საფრანგეთის მწერლების თხზულებეს კითხულობდა და დიდადაც სიამოვნება ამ კითხვით. ერთხელ ვოლტერის წინააღმდეგ ცხარე წერილი წაიკითხა და კარგა ხანს ველარ დაიმშვიდა გული. „განა შეიძლება ამ გვარად მოხსენიება იმ კაცისა, რომელიც მოციქული იყო საღის ჰკუისაო! მართალია იმას თავისი ნაკლი და სუსტი მხარე ჰქონდა, მაგრამ მისი გამსჭრიახი ჭკუა და კეთილი გული! განა კალასისა, სირვენისა და ლალლი-ტოლანდალის დავიწყება შეიძლება! რაც მეტს ვუფიქრდები, უფრო და უფრო მჯერა ეს ანდაზა: „მითხარი, ვის როგორი კაცი ჰგონია ვოლტერი და მეც მოგახსენებ, თვით ის კაცი რა იქნებაო“.

საყურადღებოა აგრეთვე ცნობანი იმის შესახებ, თუროგორი ურთიერთობა ჰქონდა გრევის ბულანჟესთან. ყველამ იცოდა, რომ გრევი ძლიერ წყნარი კაცი იყო, მაგრამ, როცა ბულანჟეზე ჩამოვარდებოდა ხოლმე ლაპარაკი, ძლიერა ცხარობდა. ამ ცხარობას თითქმის ისეთივე კილო ჰქონდა, როგორიც იმის მიერვე წარმოთქმულს სიტყვებს 1848—1851 წწ. ლუი-ნაპოლეონის წინააღმდეგ. „წელიწად ნახევარი ვუყურებდი ბულანჟეს სამინისტროებში არჩევანების დროსაო—ამბობდა გრევი 1889 წ. 29 იანვრის არჩევანების დროს—და კარგად ვიცი, რა კაციც არისო. იმისგან სისულელის მეტი არა გამოვა-რა. დროზე რომ არ შემეჩერებინა

---

მინისტრს არ გაჭირდება, ვისმე ალაგი რამ უშოვოსო, მაგრამ ეს ფიქრი შემცდარი ფიქრია. თუ რომელისამე ადგილის დაჭერის უფლება გაქვთ, შემოგპირდებიან, დაგაიმედებენ, მაგრამ ქალისთვის-კი ძნელია ადგილის შოვნა. ამ ქალს, როგორც კაპიტნის ქვრივს, პენსიის მიღების უფლება ჰქონდა. მაგრამ ამ ომის დროს გამოდნებოდა რამე სახეირო, თუ არა? როდის გამოუვიდოდა პენსია? დიდის ხნის ლოდინი იყო საჭირო; მანამდე? დილა-ადრიანად ლო-ფლოსთან წავედი, რომელიც ჯერ კიდევ სამხედრო მინისტრად იყო. ანგარიშის გასწორებას დამპირდა და ფულიც შემომაძლია. მაგრამ საქმე იმაში არ იყო—ერთის ჩარექის საათით ადრე იქნებოდა ესა, თუ გვიან. უნდა კარგად გვცოდნოდა, რომ, სანამ სამსახურისა ამ საერთო არევ-დარევაში რამე გამოირკვევოდა, მთელი თვეები გავიდოდა.

მეორე დღეს დედა და შვილს შუადღისას გამოელევიძათ. ეტყობოდათ, ძალიან დაღლილიყვნენ. ასეთი გაჭიანურებული მგზავრობა გერმანიაში ან დამტვრეულის ეტლით, ან ხალხით სავსე მატარებელით ჯერ ხომ ტანჯვა-ვაებაა სწორედ და მერე მთელი გზა ორივეს ფეხით გამოევლოთ. გზაში რამდენჯერმე გაუჩერებიათ გადახვეწილი ალზასელები. რაკი ალზასელები იყვნენ, მტრისაგან ბევრს წყალობას ვერას მიიღებდნენ. ორივე ცალიერს პურზე ყოფილიყვნენ. ჯიბეში 50-ოდე ფრანკი კიდევ ჩარჩენოდათ.

— ეს ფულიც იმიტომ შეგვრჩა, რომ სრულის სიღარიბისა გვეშინოდა და ამიტომ დახარჯვა ვერ გავბედეთ. ეს-კი სწორედ მაკვირვებდაო, მითხრა ქვრივმა, და თავისს შვილზე მიმითითა: როცა გაჭირვებულს მდგომარეობაში ჩავვარდებოდით ხოლმე, მარტო ჩემზედ-და ფიქრობდა საწყალი.

ისიც გავიგე, რომ ფრიდრიხის წასვლის შემდეგ, მისის ჯამაგირისთვის ქალს ხელი არ ეხლო.

— თქვენ ხომ თქვენი საკუთარი მიწა გქონდათ, ძროხაცა გყავდათ-მეთქი...

— ჩემი ძროხა მეზობლებს მივყიდე, და აქამდე იმითი გვიდგა სული. სახლში რაც რამ ავეჯი გვქონდა, სულ ერთიანად გავყიდეთ. ძაან ცოტა ფასი... მომცეს, მაგრამ მართალი უნდა ვაღიარო, სიძუნწით-კი არ მოსვლიათ; რა უნდა ექნათ, ყველა განიორწყლებულია, ყველგან სიღატაკეა.

— მიწა?

ქალმა გაკვირვებით შამომხედა.

— იმის მოსავლებად ალზაში რომ დავრჩენილიყავით, ხომ გერმანელები უნდა გავმხდარიყავით.

ცხადი იყო, ამ ქალს იქ დარჩენა ფიქრადაც არ მოსვლოდა. თავისს სარჩო-საბადებელზე ხელი აელო და სიღარიბისთვის თავი მოეხარა დაუფიქრებლად, რადგან მისთვის მეტი ხსნა არსაით-რა იყო. მაინც ვამბობდი ჩემ თავად, ჯერ ქალმა და მერე ისიც ქვრივმა რა უნდა ქნას-მეთქი!

თითქოს ჩემს თვალში ჩემი დუმილი ამოიკითხაო. ქალმა უეცრად სთქვა „ჯარიო“! მეც მივხდი: გერმანელების ჯარი! ჯერ ამაზედ არ მეფიქრა: ეს მდგომარეობა ჩემთვის ახალი იყო! ყმაწვილი 15 წლისა მყავდა, ალზასში რომ დარჩენილიყო, ჯარის კაცად უნდა წასულიყო—მერე ვისთვის? გერმანელთა ჯარის კაცად წასულიყო, იმ ჯარში ემსახურნა, რომელმაც მამა და ძმა მოუკლა, საფრანგეთის წინააღმდეგ ემოქმედნა? თუმცა იმათ არ უთქვამთ, საფრანგეთის ჯარის კაცობა გვინდაო, არც ის გამოუცხადებიათ, ადრე უნდა დავიწყოთ სამსახურიო, მაგრამ მე თვითონ მივხვდი. ფრიდრიხის შვილს არც შურის ძიებისა და არც ჯავრისა რამ ეტყობოდა. მას მხოლოდ თავის ქვეყნის სამსახური სწადდა და მეც ეს მინდოდა. ღვთის მოწყალებით ჯარში ჯეროვანად იბრძოლებდა თავის მამასა და ძმასავით, რომელთაც სამშობლოსათვის თავი დასდეს. საწყალი დედა დამშვიდებულად, მაგრამ იდუმალის მწუხარებით ლაპარაკობდა. შველას მარტო ჩემგან მოელოდდა; დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერი შემეძლო. მაგრამ რაღა იყო მინისტრი იმ დროს? ბევრი არაფერი! ტყავს ვიძრობდით, რომ საფრანგეთი როგორმე დაგვეხსნა.

მერე, დავიხსენით-კი? მგონი ამას მაშინ უფრო დაბეჯითებით ვიტყოდი, რომ შევიძლებოდა შინაურის განხეთქილებისთვის თავი დაგვენებებინა და ერთობრივის ხელის შეწყობით ჩვენი ჯარი და ჩვენი ღონე მომავალ ომისთვის მოგვემზადებინა. მე ვათავებ. 1871 წ. ჩემთან შემოხიზნული ის ორი უსახლ-კარო ადამიანი დავაპინავე. პატარა ბიჭზე ზრუნვა მე თვითონ ვიტვირთე. 18 წლისა რო შეიქნა, აფიცრობა მისცეს და სამსახური ტონკინში დაიწყო. ასახელა თავისი მამაც და თავისი სამშობლოც. იმავე დროს მისის დედისთვინაც ბანკის გამგეობაში ადგილი ვიშოვნე, ბიტ. როლანდის შემწეობით, რომელმაც ამ ხანებში ბევრი სხვა სამსახურიც გამიწია.

დედა და შვილი ნამდვილი ფრანგები არიან, და, გარწმუნებთ, ნამდვილი ალზასელებიც. მათ ალზასში სახლი აღარა აქვთ. აქვთ მარტო ორი საფლავი.—თავისი გულიც იქ დასტოვეს.

თ. სა—კია.

ბულანჟე, უთუოდ ომი ასტყდებოდა. შნებელის საქმე რომ დაგვატყდა თავსა, სწორედ იმ დროს ბულანჟე გვითხრა, ულტიმატუმი გავუგზავნოთ გერმანიასაო, და თანაც დაუმატა, თუ ასე არ მოიქცევით, სამსახურს თავს ვანებებო. ამასთანავე პორტფელიც სტოლზე გადაისროლა. მე ვანიშნე, თუ გნებავთ, ეგ პორტფელი მანდ დარჩეს-მეთქი, მაგრამ ისევ აიღო. როცა გობლეს სამინისტრო გადადგა და ბულანჟე კვლავ უნდა აეკიდნათ ჩემთვის ზურგზე სამხედრო მინისტრად, მე საშინლად გავუწინააღმდეგდი, თუმცა ყველანი უკმაყოფილონი დამრჩნენო“.

ბოლოს წერილის ავტორი ამბობს, გრევის ძლიერ უყვარდა თავისი შვილის შვილებიო. „ჩემის თავისთვის-კი არ მეძნელება წუთის-სოფლის გამოსალმებაო—ამბობდა გრევი სიკვდილის რამდენისამე თთვის წინად: მე უკვე ოთხოც-და-სამის წლისა ვარ და ეს დიდი ბარგი გახლავთ, მაგრამ მინდა შევიტყო, როგორ წავა ჩემის შვილის შვილების საქმეო. ახ, რა ცუგრუმელები არიან! რა ნაირადა მწყინს, რომ მხოლოდ მოხუცებულობის დროს მეღირსნენ, თორემ სიკვდილისა სრულიადაც არ მეშინიანო“.

---

## დეპეშა

11 სექტემბერი

**პეტერბურგი.** გუშინ, შუადღისას, დიდს მთავრინას ალექსანდრა გიორგის ასულს უარესობა დაეტყო: კვლავ მოუვარა ეკლამპსიამ. თუმცა უწინდელსავით ძლიერი არ იყო, მაგრამ მაჯა-კი ძალიან სუსტად უცემდა ამ დროს ავადმყოფს. საღამოს 11 საათზედ უავგუსტოესი ავადმყოფი უკეთესად შეიქნა, მაგრამ სისუსტემ-კი უმატა.

**მოსკოვი.** მთელის ღამის განმავლობაში დიდს მთავრინას ალექსანდრა გიორგის ასულს სამჯერ დაემართა მანქვა და თითოეული 2—3 წუთს გასტანდა ხოლმე; სისუსტეს აღარ უმატნია; ავადმყოფი საკმაოდ რიგიანად ჰყლაპავს საჭმელს; ცნობიერება არ დაჰბრუნებია.

**პარიჟი.** გაზეთები იმ აზრისანი არიან, რომ კარგს მოქმედებას იქონიებს ევროპაში ელზას-ლოტარინგიის პასპორტების შეცვლის ამბავიო. გაზ. „Republique Francaise“ ამბობს: ეს ღონის ძიება ერფურტში წარმოთქმულს სიტყვას მოჰყვა და ეს-კი იმას ამტკიცებს, რომ ვილჰელმ მე-II შეისმინა ევროპის ხმა, რომელიც ჰკიცხავდა იმპერატორს და იმანაც თავისი სიტყვა უარ-ჰყოვო.

12 სექტემბერი

**პეტერბურგი.** „Новое Время“ იუწყება, რომ ამ დღეებში წარედგინება სახელმწიფო საბჭოს ნალვაწი იმ კრებათა ებრაელების საქმეთა შესახებ, რომელიც იმართებოდა წარსულს ზამთარს მინისტრის ამხანაგის პლევეს თავჯდომარეობითაო.

**ლონდონი.** დეპეშა შანჰაიდამ გაზეთი „New-Iork-Herold“-ისა, რომელიც ეუწყა ინგლისის გაზეთებს, ამბობს, რო ჩინეთში საქმე უფრო და უფრო უარესად მიდისო: უწესოებანი იმანხში უფრო ძლიერდება; აჯანყება გავრცელდა იან-ცეკიანგის მთელს ხეობაზეო; ნანკოუ და შიკინგი ემზადებიან ასაჯანყებლად. ყოველივე ესე დიდად აღელვებს უცხოელებს. უცხოელი სამხედრო გემები თავ-მოყრილია შანჰაის, რომელსაც აგრეთვე შიში მოელის. სამი სამხედრო გემი წავიდა ვუშანგს. საფრანგეთის ელჩი ლემერი პეკინს გაემგზავრა.

პეტერბურგის ბირჟა, 10 სექტემბერი

| | მყიდველისა. მან. კ. | გამყიდველისა. მან. კ. | გაყიდულისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 56 | 7, 59 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 151½ | 152 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 14 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 235¾ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 220½ |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | 211 | — ,, | 120 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

---

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიმდე მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

---

## განცხადებანი


„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულება ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით ტომი I: ელგუჯა, ციკო და ელისო . . . . | 1 | 20 |
| ტომი II, მამის მკვლელი და განკიცხული. . . | 1 | 20 |
| ტომი III, მოძღვარი და ციცია . . . . . | 1 | 20 |
| საუნჯე, მ. ჯანაშვილისა. | „ | 20 |
| ცვარი სურათებიანი, საყმაწვილო წიგნი. . . . | „ | 30 |
| სიმრთელის კიდობანი (კარაბადინი) სულოქველიძისა. | 1 | „ |
| „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი . . . . . . | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკონთელისა. . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. . . . . . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელის . . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . . | 1 | “ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოღიკურის ანალიზებისა. . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა, ყდით . | „ | 50 |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Бѣлокурова . . . . . | 3 | „ |
| Поѣздка старца Арсенія Суханова въ Грузію 1637—1640 гг. . . . | „ | 25 |
| Книга Калилаһ и Диманаһ или сборникъ Басенъ извѣстныхъ подъ именемъ басенъ Бидпая, переводъ съ арабскаго М. О. Аттая и М. В. Рябинина, цѣна . . | 3 | „ |
| Матеріалы для русской исторіи, С. Ал. Бѣлокурова . . . . . | 3 | „ |

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ცენტრალურს ქალაქის სამკურნალოში (მუხრანის ქუჩაზედ, ყუზანოვის სახლებში) და იმის განყოფილებაში (ავლაბარში, როზოვის მოედანზედ, დინგელშტეტის სახლში, და აბანოების კარებთან, ენფიანჯიანცის სახლში) დიდებსაცა და პატარებსაც

**უვავილს უცრიან უსასყიდლოდ**

ყოველ-დღე, დილის 10 საათიდგან 12 საათამდე. (3—116—2)

კეროძო ექიმი

**პრეობრაჟენსკი**

არჩენს ელექტრონით: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაშაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილის ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პაპოვისა, ვარანცოვის ნომრების პირდაპირ. (10—2)

**ახალი სტამბა**

მ. შარაძისა ტფილისში

ნიკოლოზის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში, იქ, სადაც „**ივერიის**“ რედაქცია იმყოფება, გაიმართა სრულიად ახალი სტამბა.

სტამბასა აქვს საზღვარ-გარეთიდამ გამოწერილი ახალის სისტემის მსწრაფლ-მბეჭდავი და სხვა და სხვა გვარი მაშინები.

ამასთან გვაქვს ახალი ასოები, როგორც ქართული, აგრეთვე რუსულიცა და სომხურიც. სომხური ასოები გამოწერილია ვენიდგან.

**ყოველ გვარს სასტამბო საქმეს** ქართულ-სომხურ-რუსულს ენებზე **სუფთად და დროზედ ვაკეთებთ.**



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„ივერია“**

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . 10 მ.—კ. | | | 6 თთვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . 9 ,, 50,, | | | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . 8 ,, 75,, | | | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . 8 ,, —,, | | | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . 7 ,, 25,, | | | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . 6 ,, 50,, | | | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


Дозв. ценз. Тифлисъ, 12-го Сентября 1891 г. სტამბა მ. შარაძისა. დროებითი რედაქტორი გრ. ყიფშიძე გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.